

ჯგუფი „არ სი ქონსთრაქშენი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის
ანგარიშგება

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ჯგუფი „არ სი კონსტრაქშენი“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ძირითადი საშუალებები	17
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	18
8. გრძელვადიანი საინვესტიციო ვალდებულება	18
9. გუდვილი	18
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
11. მიღებული ავანსები	19
12. მიღებული სესხები	19
13. ამონაგები	19
14. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	19
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან	20
17. გაუთვალისწინებელი გარემოებები	21
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	21
საქმიანობის მიმოხილვა	23
ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	23
საოპერაციო გარემო	23
საქმიანობის მიმოხილვა	24
სუბიექტის ფილიალები	24
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	24
განვითარების გეგმები	24
სოციალური პასუხისმგებლობა	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჯგუფი „არ სი ქონსტრაქშენის“ მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ჯგუფი „არ სი ქონსტრაქშენის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 405116137) (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრად აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობასა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფმა აუდიტორად დაგვიქირავა საანგარიშგებო პერიოდის თარიღის შემდგომ, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი რაოდენობების დადასტურება, რომლებიც ჯგუფის ჰქონდა 2024 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, 9,253 (2023 წლის 31 დეკემბერს: 2,992) ათასი ლარი. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, და ასევე ფინანსური კონსოლიდირებულ საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2025 წლის 11 თებერვალს ამ ფინანსური ანგარიშგების შესახებ გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად, მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

ჯგუფი ფი-ქეი-ეფ ჯორჯია-ს სახელით ფირმის რეგისტრაციის ნომერი (SARAS-F-798362)

6 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

ჯგუფი ფი-ქეი-ეფ ჯორჯია-ს სახელით ფირმის რეგისტრაციის ნომერი (SARAS-F-798362)

6 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ათას ლარში)

<i>მიმდინარე აქტივები</i>	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ფულადი სახსრები	6	13,442	14,206
სავაჭრო მოთხოვნები	5	12,453	10,621
საგადასახადო აქტივი		1,890	1,358
გაცემული სესხები		186	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	9,253	2,992
სულ მიმდინარე აქტივები		37,224	29,177
		-	-
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	6,133	5,483
გუდვილი	9	14,933	17,055
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,066	22,538
სულ აქტივები		58,289	51,715

ვალდებულებები

<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა დავალიანება	10	6,329	1,034
მიღებული ავანსები	11	26,507	21,898
მიღებული სესხები	12	792	1,310
სულ მიმდინარე ვალდებულებები		33,628	24,242
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	12	1,064	-
გრძელვადიანი საინვესტიციო ვალდებულება	8	2,312	8,320
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,376	8,320
სულ ვალდებულებები		37,004	32,562

კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		21,285	19,153
სულ საკუთარი კაპიტალი		21,285	19,153
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		58,289	51,715

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-21 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 6 ოქტომბერს.

ვაჟა ფანჩულიძე

დირექტორი

მირანდა ჯაფარიძე

ფინანსური დირექტორი

ჯგუფი არ სი ქონსტრაქშენი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ათას ლარში)

<i>მიმდინარე აქტივები</i>	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ფულადი სახსრები	6	13,442	14,206
სავაჭრო მოთხოვნები	5	12,453	10,621
საგადასახადო აქტივი		1,890	1,358
გაცემული სესხები		186	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	9,253	2,992
სულ მიმდინარე აქტივები		37,224	29,177
		-	-
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	6,133	5,483
გუდვილი	9	14,933	17,055
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,066	22,538
სულ აქტივები		58,289	51,715


ვალდებულებები


<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა დავალიანება	10	6,329	1,034
მიღებული ავანსები	11	26,507	21,898
მიღებული სესხები	12	792	1,310
სულ მიმდინარე ვალდებულებები		33,628	24,242
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	12	1,064	-
გრძელვადიანი საინვესტიციო ვალდებულება	8	2,312	8,320
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,376	8,320
სულ ვალდებულებები		37,004	32,562

კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		21,285	19,153
სულ საკუთარი კაპიტალი		21,285	19,153
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		58,289	51,715

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-21 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 6 ოქტომბერს.

ვაჟა ფანჭულიძე
დირექტორი




მირან ჯაფარიძე
ფინანსური დირექტორი

ჯგუფი არ სი ქონსტრაქშენი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	52,717	31,020
რეალიზაციის თვითღირებულება	14	(24,527)	(10,572)
საერთო მოგება		28,190	20,448
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(24,590)	(18,447)
ფინანსური ხარჯი		(2,122)	(2,122)
ინვესტიციის გაუფასურება		305	268
მიღებული დივიდენდი		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(89)	(126)
საკურსო სხვაობის შედეგი		527	2,341
მოგება დაბეგვრამდე		2,220	2,362
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		2,220	2,362
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		2,220	2,362

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-22 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 6 ოქტომბერს.

ვაჟა ფანჩულიძე

დირექტორი

მირანდა ჯაფარიძე

ფინანსური დირექტორი

ჯგუფი არ სი ქონსტრაქშენი


კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	52,717	31,020
რეალიზაციის თვითღირებულება	14	(24,527)	(10,572)
საერთო მოგება		28,190	20,448
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(24,590)	(18,447)
ფინანსური ხარჯი		(2,122)	(2,122)
ინვესტიციის გაუფასურება		305	268
მიღებული დივიდენდი		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(89)	(126)
საკურსო სხვაობის შედეგი		527	2,341
მოგება დაზღვრამდე		2,220	2,362
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		2,220	2,362
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		2,220	2,362

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-22 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 6 ოქტომბერს.



მ. ჯვარიძე
 მირანდა ჯაფარიძე
 ფინანსური დირექტორი

ჯგუფი არ სი ქონსორაქშენი

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ათას ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31-დეკ-22	16,791	16,791
წლის მოგება	2,362	2,362
31-დეკ-23	19,153	19,153
წლის მოგება	2,220	2,220
დივიდენდის გაცემა	(88)	(88)
31-დეკ-24	21,285	21,285

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ათას ლარში)

	2024	2023
მოგება დაბეგვრამდე	2,220	2,362
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია		1,021
გუდვილის გაუფასურება	-	2,122
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(305)	(268)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,915	5,237
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,832)	(4,363)
(ზრდა)/კლება მარაგებში	(6,261)	(955)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,295	(4,602)
ზრდა/(კლება) მიღებულ ავანსებში	4,609	18,793
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში	(532)	(1,781)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	3,195	12,329
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,959)	(1,360)
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,959)	(1,360)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	-	101
სესხის დაფარვა	-	(682)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(581)
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	-	(581)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(764)	10,388
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	-	(1)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	14,206	3,819
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	13,442	14,206

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფი "არ სი ქონსტრაქშენი" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 405116137), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2015 წლის 10 სექტემბერს, საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, შ.ნუცუბიძის ქ., N 15 ბ. 5.

ჯგუფის მფლობელები საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე იყვნენ ირაკლი ნადარაია 66% და გიორგი გოგიბერიძე 34%. 2022 წლის 7 აპრილს ჯგუფის მფლობელებში მოხდა ცვლილება - ირაკლი ნადარაია 33%, ვაჟა ფანჩულიძე 33% და გიორგი გოგიბერიძე 34%.

ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს ჯგუფის დირექტორი - ვაჟა ფანჩულიძე.

ჯგუფი "არ სი ქონსტრაქშენი" ეწევა გზების და ავტობანების მშენებლობას.

ჯგუფი ფლობს ერთ შვილობილ ჯგუფის ჯგუფი "ქონსტრაქშენ გრუპი"-ს (ს/ნ 404582741).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. პირვანდელი ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ჯგუფის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა გარკვეულ შეფასებებს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
საშუალო კურსი 2024	2.7208	2.9440
საშუალო კურსი 2023	2.6279	2.8416

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იბეგრება მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ მიხედვით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. დაბეგვრის ეს მოდელი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

აღნიშნული მოდელის შესაბამისად, მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი

წლიური ცვეთის ნორმა

შენობა-ნაგებობები	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-8 წელი
მანქანა-დანადგარები	7-8 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	3-5 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილ ფასთა მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ჯგუფი ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოძწევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, ჯგუფი აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია ჯგუფის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - ჯგუფი ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფიმ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

წესდებით განსაზღვრული კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც განთავსებული კაპიტალი.

დივიდენდები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფის აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადაფასებული შენობა-ნაგებობებისთვის ხელახლა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და განსაზღვრა.

ბ) გადასახადები

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფის მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, ჯგუფის მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	იჯარით აღებული ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	სულ
თვითღირებულება 31-დეკ-2022	11,753	961	620	3,441	16,775
შემოსვლა	16		1,034	310	1,360
გასვლა	(9,872)		(725)		(10,597)
თვითღირებულება 31-დეკ-2023	1,897	961	929	3,751	7,538
შემოსვლა	982	152	1,294	605	3,033
გასვლა	(879)		(614)	(2)	(1,495)
თვითღირებულება 31-დეკ-2024	2,000	1,113	1,609	4,354	9,076
აკუმულირებული ცვეთა 01-იან-2023	659	5	92	1,144	1,900
ცვეთის ხარჯი	175	-	689	157	1,021
ცვეთა გასულ აქტივებზე	(636)	-	(230)		(866)
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2023	198	5	551	1,301	2,055
ცვეთის ხარჯი	44	4	751	208	1,007
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	(117)	(2)	(119)
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2024	242	9	1,185	1,507	2,943
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2023	1,699	956	378	2,450	5,483
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2024	1,758	1,104	424	2,847	6,133

ჯგუფის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11,064	10,341
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	14	-
დებიტორების რეზერვი	(293)	(233)
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	1,668	513
სულ სავაჭრო მოთხოვნები	12,453	10,621

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებულია ქართულ ლარში.

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
რეზერვის საწყისი ნაშთი	233	233
რეზერვის ხარჯი	60	-
აღდგენა წლის განმავლობაში	-	-
რეზერვის საბოლოო ნაშთი	293	233

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31/12/2024	31/12/2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	13,349	14,200
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	93	6
სულ	13,442	14,206

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31/12/2024	31/12/2023
სამშენებლო მასალები	9,191	2,937
დაუმთავრებელი წარმოება	31	31
ნედლეული და მასალები	29	23
მზა პროდუქცია	2	-
სულ	9,253	2,992

8. გრძელვადიანი საინვესტიციო ვალდებულება

ინვესტიციის განხორციელების შედეგად ჯგუფის წარმოშვა გრძელვადიანი ვალდებულება შვილობილი ჯგუფის ყოფილი მეპატრონეების მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად, 2.313 ათასი ლარი და 8.320 ათასი ლარი.

9. გუდვილი

	31/12/2024	31/12/2023
გუდვილის ღირებულება	17,055	19,177
გაუფასურება	(2,122)	(2,122)
სულ	14,933	17,055

2021 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა შეიძინა შპს "ქონსტრაქშენ გრუპი"-ს (ს/ნ 404582741) 100%-იანი წილი. კონსოლიდაციის შედეგად განხორციელებულმა ინვესტიციამ წარმოშვა გუდვილი რომელიც ამორტიზდა 2022,2023 და 2024 წლებში.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,010	926
სხვა ვალდებულებები	4,319	108
სულ	6,329	1,014

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებულია ქართულ ლარში.

11. მიღებული ავანსები

ჯგუფის მიღებული ავანსები წარმოადგენს, დამკვეთებისგან სამუშაოს შესასრულებლად წინასწარ მიღებულ თანხებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებულმა ავანსებმა შეადგინა 26.507 ლარი (2023 წელი 31 დეკემბერი, 21.898 ლარი)

12. მიღებული სესხები

	31/12/2024	31/12/2023
მოკლევადიანი სესხები	792	-
გრძელვადიანი სესხები	1,064	1,310
სულ	1,857	1,310

სესხების დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	ვალ უტა	გაცემ ა	დაფარვა	31.12.2024	31.12.2023
საქართველოს ბანკი ხელშ #7264484	4.20%	EUR	28.05. 2021	26.05.2031	908	1,044
საქართველოს ბანკი ხელშ #7273129	4.20%	EUR	31.05. 2021	25.05.2026	156	266
თიბისი ბანკი ხელშ # 6245337-13381993	10.50%	USD	30.05. 2024	30.05.2026	792	-
სულ					1,857	1,310

სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს ჯგუფის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

13. ამონაგები

ჯგუფი არ სი ქონსტრაქშენის შემოსავალმა, რომელიც შედგება გზების და ავტობანების შენელობისგან, 2024 წელს შეადგინა 52,717 ათასი ლარი, ხოლო 2023 წელს - 31,020 ლარი.

14. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
ძირითადი მასალების ხარჯი	19,356	9,417
ხელფასის ხარჯი	3,732	-
საწვავის ხარჯი	788	736
ცვეთის ხარჯი	186	205
საიჯარო ხარჯი	465	214
სულ	24,527	10,572

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	3,104	4,371

ობიექტებზე სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	19,475	12,037
ცვეთის ხარჯი	920	1,021
უიმედო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	60	-
იჯარის ხარჯი	212	280
სარემონტო ხარჯი	413	435
სხვა ხარჯი	406	303
სულ	24,590	18,447

16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

მს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი; აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

**განხორციელებული
ტრანზაქციები პარტნიორთან
და ძირითად მენეჯმენტთან**

	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023	2024 წელი	2023 წელი
ხელფასის ხარჯები			600	167
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	4,315	118		
გაცემული დივიდენდები			88	-

17. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ჯგუფის სასამართლო დავები არ ჰქონია.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც უნდა გამჟღავნებულიყო ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ჯგუფი „არ სი ქონსტრაქშენის“ დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 6 ოქტომბერს. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.

ჯგუფი „არ სი ქონსტრაქშენი“
მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

საქმიანობის მიმოხილვა

ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ჯგუფი „არ სი ქონსტრაქშენი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 405116137) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ფეიქრების I,შესახვევი , N 2

ჯგუფი "არ სი" ფლობს 100% წილს სხვა ჯგუფში, კერძოდ ჯგუფი ქონსტრაქშენ გრუპში.

ჯგუფის დამფუძნებელია სამი ფიზიკური პირი შემდეგი წილობრივი მონაწილეობით

გიორგი გოგიბერიძე/01017000384 34%

ირაკლი ნადარაია/01010010188 33%

ვაჟა ფანჩულიძე/41001005533 33%

ჯგუფის დირექტორია - ვაჟა ფანჩულიძე (პ/ნ 56001002898).

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ: გზებზე უსაფრთხოების ზღუდარების მიწოდება-მონტაჟი, გზების მშენებლობა, წყალსადენების მაგისტრალების მშენებლობა და სკვერების მოწყობა.

ჯგუფის ბიზნეს პროცესი სრულად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე

საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოს ყველა რეგიონში. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არა აქვს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი საკრედიტო და საფონდო ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება (საპროცესო კანონების ჩათვლით). ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად ეფექტიანი იქნება.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი „არ სი ქონსტრაქშენი“ ახორციელებს საგზაო-სამშენებლო სამუშაოებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სუბიექტის ფილიალები

„ჯგუფის“ არ აქვს ფილიალები.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფი პერმანენტულად ახორციელებს ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტების შესწავლას. ასევე ბაზრის მოთხოვნის შესწავლას. აღნიშნული კვლევები ხორციელდება მარკეტინგისა და კომერციული დეპარტამენტის ჩართულობით.

კვლევების მიზანია ახალი კონკურენტების ანალიზი, რაც ჯგუფის ბაზარზე პოზიციონირებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს რენტაბელობის გაძლიერება, ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- განვითარების ძირითადი პერსპექტივებია;
- საწარმოს განვითარება არსებული ბიზნესის მომიჯნავე მიმართულებებში;

განვითარების რესურსები:


საკმარისი აქტივები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
გამოცდილება შესაბამის სექტორში;
კვალიფიციური სამუშაო გუნდი.

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა ჯგუფის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. ამ ეტაპზე მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

ჯგუფი „არ სი ქონსტრაქშენის“ ამონაგების დინამიკა წლიდან წლამდე იხილეთ ცხრილში:

წლები	წლიური ამონაგები (ლარი)
2023	31,020
2024	52,717



ჯგუფის 2024 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

$$\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{37,224}{33,628} = 1.11$$

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები-
მარაგები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{37,224-9,253}{33,628} = 0.83$$

ჯგუფის კაპიტალი

2024 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგების ოდენობა შეადგენდა 19,153 ათას ლარს. წლის განმავლობაში წმინდა მოგება გაიზარდა 2,220 ათასი ლარით, გაიცა 88 ათასი ლარის დივიდენდი და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 21,285 ათასი ლარი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს დარგობრივი რისკები: კონკურენციის გაძლიერების რისკები; პოლიტიკური რისკები; წარმოებისათვის და პროექტებისათვის შესაძენი მასალების ფასების ცვალებადობა. საქართველოში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ბიზნეს საქმიანობაზე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საომარი მოქმედებები მნიშვნელოვნად ამცირებს მოთხოვნას და ინვესტიციების რაოდენობას. ამიტომ აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში არის რისკის მატარებელი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფიმ ვერ შეძლო ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს ჯგუფის ხელმძღვანელობა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ექვემდებარება ლიკვიდურობის რისკს.

არაფინანსური ანგარიში

სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ჯგუფი „არ სი ქონსტრაქშენის“ უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლებისათვის საიმედო მომსახურების გაწევაა.

კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობა

„ჯგუფი“ აცნობიერებს თავის კორპორაციულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. ჯგუფი ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (კლიენტებს, თანამშრომლებს და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

ადამიანთა უფლებების დაცვა

ჯგუფიში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები.

ჯგუფი დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ჯგუფი საკუთარ ბიზნეს-საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის

შესაბამისად. ჯგუფის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს, და ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

ჯგუფის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს-უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. ჯგუფში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს-პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს.

კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

„ჯგუფი“ დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ფინანსდება სხვადასხვა პროფესიული კურსები. სწორედ ამიტომ, ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 6 ოქტომბერს.

ვაჟა ფანჩულიძე

დირექტორი

შესაბამისად. ჯგუფის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს, და ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

ჯგუფის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს-უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. ჯგუფში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს-პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს.

კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

„ჯგუფი“ დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ფინანსდება სხვადასხვა პროფესიული კურსები. სწორედ ამიტომ, ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 6 ოქტომბერს.

3



ვაჟა ფანჭულიძე

დირექტორი